საქართველოს მთავრობის

განკარგულება №989
2015 წლის 18 მაისი

ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებულ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს საკუთრებაშიგადაეცეთ, ამავედანართში მითითებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, ამავე დანართით განსაზღვრული, საპრივატიზებო თანხის გადახდის სანაცვლოდ.
2. საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს, საპრივატიზებო თანხის გადახდა, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში.
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ი. ღარიბაშვილი**